საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1679
13/03/2026

1679-01-2-202603131548

ანა ზივზივაძეს (პ/ნ 60001044056)
მის: ქ. ქუთაისი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N3 (ყოფ. ედუარდ როძევიჩის ქ.)
ქ.ქუთაისი, ა.წერეთლის ქუჩა N21 („FOOD GALLERY“)
ელ.ფოსტა: bakeryhoney2017@gmail.com
ტელ: 577 71 61 71

ქალბატონო ანა,

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 9 დეკემბრის №04/1453 ბრძანებით, „მოქალაქე [redacted] განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ანა ზივზივაძის (პ/ნ 60001044056) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

„საქმის შესწავლის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია ერთგვაროვან/მსგავს საკითხთან დაკავშირებით, ერთი მოვაჭრის მიმართ სხვადასხვა პირის მიერ წარმოდგენილ ერთზე მეტ განცხადებასთან დაკავშირებით დაიწყოს საქმის შესწავლა ერთიანი პროცედურის ფარგლებში. ხოლო, თუ საქმის შესწავლა უკვე დაწყებულია – მიღებული განცხადებები ჩართოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თუკი ეს შესაძლებელია საქმის შესწავლისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტომ 2025 წლის 9 დეკემბრის №04/1453 ბრძანებით დაწყებულ საქმის წარმოებაში ჩართო მოქალაქე [redacted] 2026 წლის 10 მარტის №01/2208 განცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მოქალაქე [redacted] 2026 წლის 10 მარტის №01/2208 განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დ. აღმაშენებლის გამზირი 154,
0102 თბილისი, საქართველო
15 20
info@gcca.gov.ge
www.gcca.gov.ge

დანართი: „8“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი